2024
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის
ანგარიში
2024 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

2025 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომიტეტის მიერ მომზადებული საკანონმდებლო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, კომიტეტის მიერ გამართული სხდომების, მომზადებული დასკვნების, მოქალაქეთა მიღებისა და განხილულ კორესპონდენციათა სტატისტიკა.

წარმოდგენილია კომიტეტის თავმჯდომარისა და კომიტეტის წევრების მიერ სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების, შეხვედრებისა და სხვადასხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

2020-2024 წლების მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრები,
აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის წევრები:

კომიტეტის თავმჯდომარე	**ფრიდონ ფუტკარაძე**
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე	**მამული სურმანიძე**
კომიტეტის წევრები:	**ტიტე არაშიძე**
	მარინე გვიანიძე
	ნადიმ ვარშანიძე

კომიტეტის აპარატი:

აპარატის უფროსი	ჯამბულ ჯურცხალიძე
თავმჯდომარის თანაშემწე	გიორგი დავითაძე
უფროსი სპეციალისტი	ნაზი ჯინჭარაძე
უფროსი სპეციალისტი	ანზორ დუმბაძე
უფროსი სპეციალისტი	დავით წულუკიძე

2024 წლის აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის ანგარიშში ასევე ასახულია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის, ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრების - კომიტეტის წევრების საქმიანობა. კერძოდ, 26 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის ახალი მოწვევა, აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის წევრები:

კომიტეტის თავმჯდომარე	**ფრიდონ ფუტკარაძე**
კომიტეტის წევრები:	**მარინე გვიანიძე**
	ვახტანგ ბერიძე
	მინდია დიასამიძე

თავი I

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, სხვა საკანონმდებლო აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის დებულების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატის დებულების შესაბამისად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი ემსახურება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული მმართველობის სისტემის დამკვიდრებას და მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვას. კომიტეტი ხელმძღვანელობს გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპით და უზრუნველყოფს საკუთარ საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობას.

კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

კომიტეტი საანგარიშო პერიოდში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდა საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლს.

2024 წლის განმავლობაში აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი აქტიურად ახორციელებდა საკანონმდებლო და საზედამხედველო ფუნქციებს. ასევე, თანამშრომლობდა არასამთავრობო სექტორთან და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ზედამხედველობდა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებს, განსაკუთრებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული დაწესებულებების (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, სსიპ სატყეო სააგენტოს, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრისა და სსიპ ლაბორატორიული კვლევის ცენტრის) საქმიანობას.

კომიტეტის ამოცანები და ფუნქციები

რეგიონის კანონმდებლობის საქართველოს კანონმდებლობასთან მიახლოება/ჰარმონიზება და შემუშავება შემდეგი მიმართულებებით: სასურსათო უზრუნველყოფა, მიწის რესურსები, აგრარული განათლება და მეცნიერება, აგრო მომსახურებები და ფერმერებთან დაკავშირებული საკითხები; ეფექტიანი ზედამხედველობა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიათა განხორციელებაზე და კონტროლი კანონმდებლობის აღსრულებაზე; სამელიორაციო სისტემების განვითარება; ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ალტერნატიული სისტემების განვითარების ხელშეწყობა; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემოს შენარჩუნება და გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა; სოფლის მეურნეობის სტაბილური ზრდა, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; გარემოსათვის ატმოსფერული ჰაერის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევა, შენარჩუნება და გაუმჯობესება; წყლის მავნე ზემოქმედების აცილება, წყლის ობიექტების დაცვა და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით; თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, მათ შორის: მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის, ტყეში არსებულ მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და დაცვა. კომიტეტის საქმიანობის პრიორიტეტია, ასევე, საზოგადოებასთან/დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და კომიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ამასთან, დასახული მიზნების მიღწევისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კომიტეტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერებას.

ეფექტიანი და კოორდინირებული საქმიანობისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 43[1] მუხლის შესაბამისად, კომიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა სამოქმედო გეგმა. განსახორციელებელი მიზნები, ამოცანები და აქტივობები დაისახა 2024 წლის დასაწყისში. წინამდებარე ანგარიში დაეყრდნო მონიტორინგს სამოქმედო გეგმის ვალდებულებათა შესრულებაზე და მისი ანალიზის შედეგებს. საანგარიშო პერიოდი გაგრძელდა 2024 წლის 1 იანვრიდან, ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომიტეტის მიერ მიღებული და დამტკიცებული 2024 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობა არის შემდეგი მიმართულებებით:

1. კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება;
2. საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება;
3. საზოგადოებასთან ეფექტიანი ურთიერთობა და ანგარიშვალდებულებების უზრუნველყოფა;
4. ორგანიზაციული საქმიანობის და შესაძლებლობის გაძლიერება.

კომიტეტი წლის განმავლობაში მუდმივად უწევდა მონიტორინგს სამოქმედო გეგმის შესრულებას. წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმთა შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილ ყველა აქტივობას მიენიჭა შესაბამისი სტატუსი.

სამოქმედო გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, განისაზღვრა აქტივობები და მათზე პასუხისმგებელი პირები. წლის გეგმით განსაზღვრული იყო 35 აქტივობა, რომელიც სრულად განხორციელდა.

თავი II

ზოგადი ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობის

საანგარიშო პერიოდში აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტში ჩატარდა 9 სხდომა უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ განსაზღვრულ საკითხებზე. მათ შორის:

- კომიტეტის სხდომა - 4;
- კომიტეტის ერთობლივი სხდომა - 5.

სულ კომიტეტის სხდომებზე განხილული იქნა 14 საკითხი:

- საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტი - 0;
- კანონპროექტი და დადგენილება - 3;
- სხვადასხვა უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა ანგარიში და ინფორმაცია -8;
- კომიტეტის სამოქმედო გეგმა - 1;
- კომიტეტის ანგარიში -1;
- კომიტეტის დებულება - 1 (ახალი მოწვევა - 2024 წლის 27 ნოემბერი).

აქედან:

კომიტეტის სხდომებზე განხილული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტთან დაკავშირებით 6 საკითხი.

- საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხებზე შეიმუშავა და წარადგინა 8 სავალდებულო დასკვნა.
- კომიტეტის თავმჯდომარემ ფრიდონ ფუტკარაძემ მონაწილეობა მიიღო 11 შეხვედრა-ღონისძიებაში;
- კომიტეტის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს 15 შეხვედრა-ღონისძიებაში;
- კომიტეტის აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა **მიიღეს 3 შეხვედრა,** ტრენინგი, კონფერენციასა და სემინარში.

კომიტეტის მიერ მომზადებული იქნა სავალდებულო დასკვნები უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ განსაზღვრულ შემდეგ საკითხებზე:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მიმოხილვა;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაცია.
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე";
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ;
6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა (09-01-08/66, 29.10.2024).
7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა.
8. საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის განხილვა-არჩევა.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შემოსული კორესპონდენციის და მასზე განხორციელებული რეაგირების რაოდენობა - 126.

აქედან:

1. საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებებიდან, დაწესებულებებიდან, არასამთავრობო, კომერციულ და სხვა ორგანიზაციებიდან შემოსული კორესპონდენცია - 9;

2. უმაღლესი საბჭოს ფრაქცია-კომიტეტებიდან და აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან შემოსული კორესპონდენცია - 96;

3. კომიტეტში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების და მასზე განხორციელებული რეაგირების რაოდენობა - 21;

4. მოქალაქეთა მიღების რაოდენობა - 113.

თავი III

კომიტეტის საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელება

კომიტეტი საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებთან, დარგობრივად კი სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე ანგარიშის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო: კომიტეტის სხდომები, რომელებზეც მოსმენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის **ზაზა შავაძის** 2024 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. **ჯემალ ნაკაშიძის** - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის, **რაულ თავართქილაძის** - სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ, „აგროსერვის ცენტრი"-ს დირექტორის, **ჯუმბერ აბულაძის** - სსიპ სატყეო სააგენტოს უფროსის და **ლევან გორგილაძის** - სსიპ ლაბორატორიული კვლევის ცენტრის დირექტორის ინფორმაციები, შესაბამისი უწყებების მიერ 2023 წელს გაწეული და 2024 წელს მიმდინარე საქმიანობის შესახებ ანგარიშები.

თავი IV

თემატური მოკვლევები

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა დაიწყო ორი თემატური მოკვლევა: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყის არსებული მდგომარეობის შესახებ" და „დაცული ტერიტორიების (ქობულეთი, კინტრიში, მტირალა, მაჭახელა) მიმდებარე დასახლებებში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა-განხილვა და მათი შემდგომი მოგვარების მიზნით, ადგილობრივ ორგანოებთან თანამშრომლობა", რომელებშიც ჩართულია სამეცნიერო საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი, სახელმწიფო სტრუქტურები და ადგილობრივი ორგანოები.

თემატური მოკვლევების მიზანია არსებული მდგომარეობის შეფასება. ასევე, პრობლემებისა და გამოწვევების განსაზღვრა; მოკვლევის პერიოდში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დოკუმენტურად დასაბუთებული დასკვნების მომზადება; არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და გამოწვევებზე საპასუხო ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზნით, შესაბამისი უწყებებისთვის რეკომენდაციების გაცემა; აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მხარეებზე მორგებული, გრძელვადიანი მოქმედების პერსპექტივით, კონკრეტული ქმედითი და არსებითი პოლიტიკის შემუშავება.

აღნიშნულ თემატურ მოკვლევებთან დაკავშირებით შესაბამისი სტრუქტურებიდან კომიტეტს მიღებული აქვს წერილობითი ინფორმაციები და მოსაზრებები. გათვალისწინებულ პერიოდში თემატური მოკვლევები ნაწილობრივ განხორციელდა და 2025 წლის განმავლობაში იქნება დასრულებული.

თავი V

სადეპუტატო შეკითხვები

კომიტეტი საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებთან, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და საზოგადოებასთან. ამ თვალსაზრისით გაგზავნილი იყო ექვსი სადეპუტატო შეკითხვა, რომლებიც საანგარიშო პერიოდში გაეგზავნა სახელმწიფო სტრუქტურებს. პასუხები შემოვიდა რეგლამენტით განსაზღვრულ დროში.

თავი VI

კომიტეტის წევრების და კომიტეტის აპარატის თანამშრომლების შეხვედრები სამთავრობო სტრუქტურების და საზოგადოების წარმომადგენლებთან

კომიტეტის თავმჯდომარის ფრიდონ ფუტკარაძის შეხვედრები და ოფიციალური ვიზიტები-მივლინებები

1. 2024 წლის 23 თებერვალს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესთან ილია ვერძაძესთან ერთად, ხულოს, შუახევის და ქედის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს შეხვდნენ. სამუშაო შეხვედრაზე იმსჯელეს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებზე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებზე, მოსახლეობის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

2. 2024 წლის 01 მარტს, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტებში, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებს დაესწრო.

3. 2024 წლის 07 მარტს, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წელს დაგეგმილი პროგრამებისა და სიახლეების გაცნობის მიზნით გამართულ საინფორმაციო შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა.

4. 2024 წლის 18 მარტს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სოფელ თხილნარისა და სხვა სოფლების მოსახლეობას შეხვდა. აღნიშნული ფორმატის შეხვედრები მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას და მათთან ერთად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით პრიორიტეტების დაგეგმვას ითვალისწინებდა.

5. 2024 წლის 19 მარტს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების - ტაკიძეების, ცივაძეების, ჭვანის, ცხემლისის, ცეკვისა და ხიჭაურის მოსახლეობას შეხვდა.

6. 2024 წლის 20 მაისს, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ამავე უწყების 2025-2028 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტის საჯარო განხილვას დაესწრო.

7. 2024 წლის 08 ივლისს, ფრიდონ ფუტკარაძე აჭარის დელეგაციასთან ერთად, თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ინეგოლში, კავკასიის ფოლკლორისა და კულტურის დღეებს დაესწრო. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციასთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა და ინეგოლში არსებული საწარმოები მოინახულა.

8. 2024 წლის 11 ივლისს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ოთარ შამუგიასთან, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრითან ზაზა შავაძესთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისში, ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაციის - „ფორეჯის" კუთვნილი კალმახის საინკუბაციო საწარმოს მუშაობას გაეცნო.

9. 2024 წლის 30 ოქტომბერს, ფრიდონ ფუტკარაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრთან ცოტნე ანანიძესთან ერთად ქობულეთში, ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის საკოორდინაციო შტაბის გახსნას დაესწრო.

10. 2024 წლის 11 ნოემბერს, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანში, კარტოფილის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოს - „ კაიფრი"-ს გახსნას დაესწრო.

ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრი (2024 წლის 26 ნოემბრიდან), კომიტეტის თავმჯდომარე

11. 2024 წლის 25 დეკემბერს, ფრიდონ ფუტკარაძე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან დავით სონღულაშვილთან, აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან თორნიკე რიჟვაძესთან და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ზაზა შავაძესთან ერთად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ციტრუსის მოსავლის აღება-დაბინავების პროცესს გაეცნო.

კომიტეტის წევრების შეხვედრები და ოფიციალური ვიზიტები

1. 2024 წლის 06 თებერვალს, ტიტე არომიძე „Connect Georgia"-ს პროექტის „მდგრადი მობილობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე" ხელმძღვანელს იან რიკმეიერს და წარმომადგენლებს შეხვდა. აღნიშნული პროექტი ქვეყნის მასშტაბით პირველია და მისი განხორციელება აჭარაში, რეგიონული სატრანსპორტო სისტემის შექმნას ითვალისწინებს.

2. 2024 წლის 09 თებერვალს, ტიტე არაშიძე საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) პრეზიდენტს - ანტონ ბანბერსა და IFES საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს - რენატა ლევოვსკის შეხვდა.

3. 2024 წლის 13 თებერვალს, ტიტე არაშიძე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის მემორანდუმის გაფორმებას დაესწრო.

4. 2024 წლის 22 თებერვალს, ტიტე არაშიძე და მარინე გვიანიძე ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ლიეტუვას სახელმწიფოს აღდგენის დღისა და საქართველო-ლიეტუვის შორის დიპლომატიური ურთიერთობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრნენ.

5. 2024 წლის 24 თებერვალს მარინე გვიანიძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებულ ფორუმს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ინკლუზიური განათლება-მიღწევები და გამოწვევები" დაესწრო.

6. 2024 წლის 25 თებერვალს, ტიტე არაშიძე საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, ხელისუფლების წარმომადგენლებთან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ავღანეთის ომების მონაწილეებთან ერთად, დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას პატივი მიაგო და გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკო.

7. 2024 წლის 16 მაისს, ტიტე არაშიძე და მარინე გვიანიძე პროექტის - „Digital Blue Economy and Innovation Acceleration Network (DBAN)" ფარგლებში, „Smart specialization და Batumi Blue Expo სტეიქჰოლდერებისთვის" კონფერენციას დაესწრნენ.

8. 2024 წლის 16 მაისს, მარინე გვიანიძე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ამავე უწყების 2025-2028 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტის საჯარო განხილვას დაესწრო.

9. 2024 წლის 30 მაისს, ტიტე არაშიძემ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის მიერ ორგანიზებულ „მუნიციპალური ფორუმის" შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

10. 2024 წლის 31 მაისს, ტიტე არაშიძე და მარინე გვიანიძე უმაღლეს საბჭოში შეხვდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბრანდენბურგის მიწის ლანდტაგის დელეგაციას - ვიცე-პრეზიდენტ - ბარბარა რიხშტეინის ხელმძღვანელობით.

11. 2024 წლის 13 ივნისს, ტიტე არაშიძე ევროპის რეგიონთა ასამბლეის (AER) „გენერალური ასამბლეისა და შავი ზღვის მე-8 სამიტის" გახსნას დაესწრო.

12. 2024 წლის 12 აგვისტოს, ტიტე არაშიძე გონიოს ციხის განახლებული სამუზეუმო სივრცის გახსნის ოფიციალურ ღონისძიებას დაესწრო.

13. 2024 წლის 09 სექტემბერს, ტიტე არაშიძე რომის იმპერიის ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონგრესის გახსნას დაესწრო. საერთაშორისო კონგრესი „Limes Congress 2024" ბათუმში პირველად გაიმართა და მასში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების პროფესორები, წამყვანი სპეციალისტები მონაწილეობდნენ.

14. 2024 წლის 26 სექტემბერს, ტიტე არაშიძე სარფში ტრადიციულ სახალხო დღესასწაულს „კოლხობას" დაესწრო.

15. 2024 წლის 09 ნოემბერს, ტიტე არაშიძე და ნადიმ ვარშანიძე ქედის მუნიციპალიტეტში სახალხო ფესტივალს - „შემოდგომა ქედაში" დაესწრნენ და ადგილობრივებს დღესასწაული მიულოცეს.

ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრი (2024 წლის 26 ნოემბრიდან), კომიტეტის წევრი

16. 2024 წლის 28 ნოემბერს, კომიტეტის წევრმა ვახტანგ ბერიძემ ხულოს მუნიციპალიტეტში გადაუღებელი თოვის შედეგად, გზებზე დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენითი სამუშაოების და წარმოქმნილი პრობლემების სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა ტრენინგები, კონფერენციები და ღონისძიებები

1. 2024 წლის 15 თებერვალს კომიტეტის აპარატის თანამშრომელი ჯამბულ კურცხალიძე დაესწრო აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის - „ნარჩენების მართვის სექტორის შესაძლებლობები და გამოწვევები" შემაჯამებელ შეხვედრას.

2. 2024 წლის 26 ივნისს კომიტეტის აპარატის თანამშრომელმა ჯამბულ კურცხალიძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის წარმომადგენლების მიერ ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაში, თემა - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში კვლევითი საქმიანობის გაძლიერება".

3. 2024 წლის 5 აპრილს კომიტეტის აპარატის თანამშრომელი ნაზი ჯინჭარაძე დაესწრო UNDP-ის მიერ ჩატარებულ ტრენინგს თემაზე „კანონპროექტის განმარტებითი ბარათის ფინანსური დასაბუთება".

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის პრიორიტეტებად რჩება კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება; საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება; საზოგადოებასთან ეფექტიანი ურთიერთობა და ანგარიშვალდებულებების უზრუნველყოფა; ორგანიზაციული საქმიანობისა და შესაძლებლობის გაძლიერება. კომიტეტი მომავალშიც გააგრძელებს მასზე დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებისა და საქმიანობის განვითარებაზე მუშაობას. იზრუნებს სპეციალური ცოდნის მქონე ექსპერტების მოწვევაზეც, რომლებიც იმუშავებენ კომიტეტის აპარატის ერთად და ხელს შეუწყობენ კომიტეტის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერებას.

კომიტეტის თავმჯდომარე
ფრიდონ ფუტკარაძე